ავტობიოგრაფია

დავიბადე 1956 წლის 26 იანვარს, ქალაქ თბილისში. ვსწავლობდი ილია ვეკუას სახელობის 42-ე მატემატიკურ სკოლაში. დამთავრებული მაქვს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის (1977) და იურიდიული (1991) ფაკულტეტები.

1997 წელს დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია სისხლის სამართლის პროცესის სპეციალობით. 2000 წელს მომენიჭა დოცენტის წოდება.

1977 წლიდან 1991 წლამდე ვმუშაობდი სხვადასხვა თანამდებობებზე, არასპეციალობით. ვიყავი სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში კონსტრუქტორიც და პროგრამისტიც, საზოგადოება „ცოდნის" რეფერენტიც და საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის ინსტრუქტორიც. 1991-2008 წლებში ვმუშაობდი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ლაბორანტის, მასწავლებლის, დოცენტისა და ასოცირებული პროფესორის თანამდებობებზე. ლექციებს, იურიდიული ფაკულტეტის გარდა, ვკითხულობდი საერთაშორისო ურთიერთობების, ჟურნალისტიკის და ეკონომიკის ფაკულტეტებზე. ვამაყობ, რომ პირველ ქართულ უნივერსიტეტში სამუშაოდ იურიდიული ფაკულტეტის მაშინდელმა დეკანმა, გივი ინწკირველმა მას შემდეგ მიმიწვია, რაც ჩემ კრიტიკულ საგაზეთო პუბლიკაციას გაეცნო. ცოდნის ტაძრიდან, 2008 წელს განხორციელებული „ რეფორმის" შედეგად დამითხოვეს... 2008-2013 წლებში ვმუშაობდი საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტში, ჯერ ასოცირებული პროფესორის, შემდეგ პროფესორის თანამდებობაზე. 2015 წლიდან 2019 წლის იანვრის ბოლომდე თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ვიყავი. ამჟამად, ამავე უნივერსიტეტში ვარ მოწვეული სპეციალისტის თანამდებობაზე. ამასთან, 2010 წლიდან შპს „ტრანსსერვისსა" და შპს „ლინიშიც" ვითავსებ იურისტობას.

გამოცემული მაქვს 7 წიგნი დამოუკიდებლად (რეალური სასამართლო რეფორმისთვის, სამართლიანი სასამართლოსთვის, უდანაშაულობის პრეზუმფციის განხორციელების გარანტიები, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობა ევროკონვენციასთან, დოქტორანტურის დებულების სრულყოფისთვის, როგორ ვებრძოლოთ კორუფციას, ნომენკლატურული პრივატიზაცია) და ერთი თანაავტორობით. გამოქვეყნებული მაქვს 36 სამეცნიერო ნაშრომი. ამასთან, ვარ ავტორი 200-მდე ვრცელი საგაზეთო პუბლიკაციის სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალურ საკითხებზე.

არ ვარ რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების წევრი და ჟურნალისტები დამოუკიდებელ ექსპერტად მიმიჩნევენ. მაქსიმალურად ვცდილობდ დავიცვა კანონები და სხვებისგანაც (განსაკუთრებით საჯარო მოსამსახურებისგან) ამას ვითხოვ. სარჩელები მაქვს შეტანილი საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის, შსს-სა და ფინანსთა სამინისტროს, აგრეთვე თბილისის საკრებულოსა და მერიის წინააღმდეგ. საკონსტიტუციო სასამართლომ ჩემი ერთი სარჩელი დააკმაყოფილა, ხოლო მეორეზე მოსამართლეთა ხმები თანაბრად გაიყო.

ვარ დაოჯახებული. მყავს მეუღლე და ორი შვილი.

ავთანდილ კახნიაშვილი
08 აპრილი, 2020 წელი